საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი, ივლისის 12
1921 წ.
№ 108
ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელ: ფონ 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 9000 მან. ცალი 500 მან.

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: დადაშ გელოვანი, გიო გამყრელიძე, სერგო ამილახვარი, ილია თუთბერიძე, გიორგი გიორგაძე, ვალიკო ცაგარელი და ივანე სულაქველიძე აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ სამშაბათს, ივლისის 12 (დილის 11 საათზე) ქ. ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში დანიშნულია ნახევარი წლის პანაშვიდი მათი საუკეთესო დაუვიწყარი მეგობრის სამშობლოს სადარაჯოზე ტრაგიკულად დაღუპული სტუდენტი

პალიკო ბეშკენაძის

სულის მოსახსენიებლად.

განუსაზღვრელი და უნუგეშო მდგომარეობაში მყოფნი სიკვდილამდის მგლოვიარენი უბედური მშობლები ალექსანდრე და სერაფინა ბეშკენაძეები, ტოლია, ევგენია, ნინო, იულია, მარგო და ნიურა აუწყებენ ნათესავებს და მეგობარ-ნაცნობებს, რომ სამშობლოს სადარაჯოზე დაღუპულ მათი ერთად-ერთი იმედის

პალიკოს

ნახევარი წლის პანაშვიდი დანიშნულია მის საფლავზე ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში სამშაბათს, ივლისის 12 დილის 11 საათ.

დღეს სამშაბათს ივლისის 12 ს საღამოს 6 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქმნება ორმოცი დღის პანაშვიდი მეორე უმაღლეს დაწყ. რკინის გზის სასწავლებლის გამგის

ნიკო ჭუჭუნავას

სულის მოსახსენიებლად რასაც აუწყებს მეგობრებს მისი მეუღლე ანა ტარაზი ნაცხილაძის ასული ჭუჭუნავა პატარა შვილებით. 1016

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამი შვილები, ბარბარე, ქეთევანი, ელენე, ეკატერინე, გიორგი, რუსუდანი, ძმა მიხეილი ფხალაძენი, სიდედრი ეფემია ბრეგვაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ივლისის 9-ს პირველის მეუღლე, უკანასკნელთათვის მამისა, ძმისა და სიძისა

მღვდელი სვიმონ ფხალაძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, ივლისის 12. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 10 საათზედ დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიიდან, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დაკრძალვა ამავე გალავანში, მიცვალებულს გამოასვენებენ დიდუბის ქ. 18. 1018

ღრმად დამწუხარებულნი მეუღლე გიორგი ლუკას ძე, შვილები: თინა და ლუკა, დედამთილი მარიამი აბზიანიძეები, ოლღა ალათი მათეს ასული, დები: კატო, მარიამ და ლიუბა მიხეილის ასულნი, ძმა არტემ მიხეილის ძე, რძალი თამარ ექვთიმეს ასული და ძმის წული ოთარ ახობაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 40 დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

ოლღა მიხეილის ასულის ახობაძე-აბზიანიძისა

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქნება სამშაბათს, 12 ივლისს დილის 12 საათზე ტფილისში ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და სოფ. პატარა ჯიხაისში წმ. გიორგის ეკლესიაში. 1012

სამშაბათს, ივლისის 12-ს, სოფ. დიმში, (ქუთ. მაზრა) ადგილობრივ მთ. ანგ. ეკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

გალაქტიონ ირაკლის ძე კარანაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი მშობლები ირაკლი და ელისაბედ კარანაძეები შვილებით და სიძეებით. 1017

## ჩვენი სოფლის ტკივილი

ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღების ღირსი ვერ გახდა ვისგანაც ჯერ არს; ჩვენი სოფლის ცხოვრება კიდევ აწეწილ-დაწეწილია და ჯერ არსად სჩანს მტკიცე ხელი, რომ მის აფორიაქებულ სინამდვილეს მალამო დასდოს და ამიტომაც საბჭოთა ძალა-უფლებისადმი ნდობა სათანადო სიმაღლემდის ვერ ასულა და არც არის იმედი წინააღმდეგი შედეგებ ის მიღწევისა სანამ ჩვენი სოფელი ასე უპატრონოდ და უყურადღებოდ არის მიტოვებული. გარდა იმ საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების შესაფერისად გადაუწყვეტელობისა, რომლითაც დაინტერესებულია უწინარეს ყოვლისა ჩვენი სოფელი, არსებობს ადგილობრივი ხასიათის საკითხები, რომელთა მოუწესრიგებლობა ქმნის სოფლად უარყოფით ატმოსფერას არსებული ძალა-უფლებისადმი. მაგრამ როგორათაც არ უნდა გადაჭრათ ესა თუ ის საკითხი, რომლითაც სასიცოცხლოდ დაინტერესებულია სოფელი, მაინც მიზანი მიღწეული არ იქნება, თუ ადგილობრივ მათი გამტარებელნი და ხორცშემსხმელნი მისადებ და ღადებით ფორმებში არ ანხორციელებენ მას. ჯერ სანამ საერთო-სახელმწიფოებრივი მუშაობა საბოლოოდ არ დალაგებულა, ჩვენი სოფელი განიცდის მრავალგვარ თვითნებობასა და აბუჩად აგდებას თავის ინტერესებისას. ადგილობრივი ძალაუფლების გამომხატველი სოფლში ე. წ. რევკომები ხშირად თავის დანიშნულებებს ვერ ამართლებენ. ყველაზე უფრო მჩხვლეტელი ეკალი ჩვენი სოფლის გულისათვის ადმინისტრაცია, განსაკუთრებით კი მილიცია, სოფლის თავისუფლებას ისე გებულობს, როგორათაც ეს მას ეპრიანება. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თვითნებობის აღკვეთას, რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს რომლის განწყობილების შესაქმნელად. მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც ყველაზე უფრო აფრთხობს და ცუდს გუნებაზე აყენებს ჩვენი სოფლის პატიოსან და მშვიდობიან მცხოვრებს გარდამავალ ხანაში, როცა საბჭოთა ძალა-უფლება უნდა დამყარებულიყო ჩვენში, ბევრმა არა სინიდისიერმა და სახელ-გატეხილმა ელემენტებმა მოინდომა შექმნილი ქაოსით სარგებლობა. და ისინი, რომელნიც „რაც უნდა ხეხო ქვიშითა“ მაინც ყორნებათ დარჩებიან მოღვაწეების ქურქში და კომუნისტის სახელწოდებით გვევლინებიან. მათი სახე მედიდურია, დაწვრილმანება—პირადი ანგარიშების გასწორებით—ხშირია—და თავხედობა უსაზღვრო. განწყობილება სოფლისა ლოდიკური და გასაგებია. ჩვენი სოფლელი რეალისტია; მას სინამდვილით უყვარს დასკვნების გაკეთება; და როცა დაინახა ასეთი ბოლმის—მომგვრელი სიცხადე,—მან დაასკვნა: ეს ბოროტება გარდა მენშევიკებისა, კომუნისტებსაც ჰქონიათ, მაშასადამე კომუნიზმიც უბედური ყოფილა. რა იცის მან, თუ რევოლუცია და კომუნიზმი სწორედ უსასტიკესი ტერორები არიან ყოველგვარ უნამუსო, ყაჩაღურ და ანგარ-მოყვარე ადამიანების წინააღმდეგ? ეს ელემენტები ხშირად ჩვენი, ქართული ცხოვრების სიდამპლეზე ამოსული ელემენტები და არა ნაკლებ საშიში და სახიფათონი ჩვენი რევოლუციისთვის, ვიდრე ის უცხო კატეგორიები, რომლის აღნიშნავს არა მცირე დროა მოანდომა ქართულმა პრესამ.

## საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციურ კომიტეტისაგან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის 7 დადგენილებით ამხ. მახარაძე ფილიპე განთავისუფლებულია, საქ. ს. ს. რესპ. რევოლიუ. კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

იმავე დადგენილებით რევკომის პრეზიდიუმის წევრი ამხ. მდივანი ბუდუ დანიშნულია რევკომის თავმჯდომარედ.

საქ. ს. ს. რესპ. რევოლიუციური კომიტეტი.

პირ იქით, ხალხი უფრო მტკივნეულად გრძნობს ძალადობას, როცა ამას მისი მეზობელი ხმარობს მასზე; პირ იქით, სოფელი მით უფრო შეურაცყოფილია იმისგან, რომ ამ მდგომარეობით უსინიდისოთ მოსარგებლეთა რიცხვს ავსებს მისივე სოფლელი და ისიც ხშირად ქურდ-ბაცაცა თუ ავაზაკი. ის ხმას ვერ იღებს, დადუმებულა, მაგრამ ბოლმა გულს აწვეს და შიგ ღცის ვის „აუწყონ დაფარული მან გრძნობა“. თუ სანდო და პატიოსან კაცად გიგულა ყოველივეს გადმოანთხევს და დაიწმუნდები, თუ რა სტკივა მას და რატომ არის იგი ჯერხნობით ასე უკმაყოფილო ჩვენ სახელმწიფოებრივი აგებულებით. სოფლის ნაძირალები აიძულებენ ხშირად ხალხს იმას, რაც უნდა უყვარდეს მას, რაც მისი უშუამავალო ინტერესია—კომუნიზმს, სოციალიზმს. ჩვენი ვალია აქ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ, დიდის ენერგიით შევებრძოლოთ ამ მოყვრის სამოსში გახვეულ შინაურ მტრებს. არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი ჭეშმარიტება: შინაური მტერი, ჩვენი თავის მეტს დაგვაკლებს ხშირად, ვიდრე უცხო, გარეშე ძალა. ეს ნაძირალები უფრო მეტი კონტრრევოლიუციონერები არიან წინააღმდეგ ჩვენში საბჭოთა ძალაუფლების განსამტკიცებლად, ვიდრე ეს გახდება პირველი შეხედვით. ბატონის კილო, მბრძანებელის გამომეტყველება და უკადრისობა ახასიათებს ბევრს ჩვენს სოფელში მომქმედს „მოკომუნისტო“ ელემენტს. იგი ალიზიანებს გლეხის გრძნობას, გლეხის თავმოყვარეობას; და ყოველივე ეს კი მას არსებული წყობილების ბუნებათ და შინაარსათ წარმოუდგენია, რაც სახელმწიფოებრივ მანქანას ამძიმებს და მოძრაობას უფერხებს. არტახების, მტკიცე არტახების შემოხვევა სჭირია ჩვენი ცხოვრების ამ მოვლენას, რომ შიგ ჩაიხრჩოს ჩვენივე სოფლის მტრებიც.

ეფ. ხაჩინოელი

## ქართული პრესა

გაზ. „კომუნისტში“ მეტად საპასუხისმგებლო მეთაურია დაბეჭდილი — „სტამბოლისაკენ“. გაზეთი სწერს:

„მთელი მსოფლიოს საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრი მცირე აზია—ბალკანეთია მეთქი.

ეს მოვლენა დღეს უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა ყველა ხედავს, რომ თავისუფალი ოსმალეთის ძლევამოსილი ლაშქარი ხტამბოლისკენ მიიწევს.

ხტამბოლი! ეს ოცნებაა ძველი და ახალი ქვეყნისა, იგი გრანდიოზული ხიდია ევროპასა და აზიას შუა გადებული.“

შემდეგ:

„როგორც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა, ისე ყველა მისი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები მონაწილენი არიან ამ „ალმოსავლეთის პოლიტიკისა“, ისე ყველა საბჭოთა რესპუბლიკები და მათ შორის ჩვენი „პატარა საქართველო“ მოისურვებს სტამბოლისაკენ.

მაგრამ არა მის დასაპყრობად, არა ჩაგვრისა, მონობისა და აგრესიული მიზნებით, არამედ მის გასანთავისუფლებლად.

საქართველო უძველესი დროიდან ის დიადი გზა იყო, რომელზედაც ერთი მხრით აზიის ხალხთა ისტორიული მსვლელობა იყო გამართული ჩრდილოეთისაკენ, ხოლო მეორე მხრით ასეთივე მსვლელობა იყო ევროპის ვაჭრებისა აზიისაკენ“.

შემდეგ:

„სტამბოლისაკენ იყო თვალი და ყური მიქცეული საქართველოს ძველ დროშიაც.

და დღეს, როდესაც იგივე სტამბოლი ხდება ორ უდიდეს კოალიციის, საბედისწერო და გადამწყვეტი შეჯახების ბრძოლის ასპარეზათ, ცხადია, საბჭოთა საქართველო იძულებულია დიდი ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და გაფაციცებით თვალყური ადევნოს მას“.

საყურადღებოა, რომ გაზეთი მყისვე აღრმავებს საკითხს და ის აღარ კმაყოფილდება მარტო თვალყურის დევნებით:

„სტამბოლში უნდა გადაწყდეს არა მარტო ევროპის მომავალ პროლეტარული რევოლუციის ბედის მსვლელობა, არამედ იქ გადაწყდება რუსეთის დიდი რევოლუციის საბოლოოთ გამარჯვების ბედიც და მაშასადამე საბჭოთა საქართველოს მომავალიც.

რა უნდა ჰქნას საქართველომ?—გაზეთი განაგრძობს:

„საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ვალია აწარმოოს ხაზწორით ის „აღმოსავლეთის პოლიტიკა“ რომელსაც კარგა ხანია ასე ნაყოფიერათ აწარმოებს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მმართველი პარტია,—კომუნისტური პარტია!

მეთვალყურეობიდან გაზეთი მოგვიწოდებს „აღმოსავლეთის პოლიტიკის სისწორით წარმოებისაკენ“ მოგვიწოდებს ისე, როგორც ამას სჩადის რუსეთი. თუ რამდენად დიდ მნიშვნელოვანი გამხდარა ეს საკითხი სჩანს იქიდანაც, რომ მთავრობაში ამისათვის დიდი ცვლილება მომხდარა. გაზეთი ამბობს:

„დღეს ჩვენს მთავრობაში ამ მხრით დიად მომენტის დროს მომხდარი ცვლილება თავდებია იმის, რომ „პატარა საქართველო“ ღირსეულათ შეასრულებს ისტორიით დაკისრებულ ამ დიად როლს!“

ხაზი ყველგან ჩვენია. ერთად ერთი აზრი აქედან ის არის, რომ ცეკაში აღმოსავლეთის პოლიტიკის გარშემო დიდი ბრძოლა ყოფილა და მომხდარი ცვლილება მთავრობაში თავდებად არის მიჩნეული, რომ „პატარა საქართველო“ „ღირსეულად შეასრულებს ისტორიით დაკისრებულ ამ დიდ როლს“.

ჩვენი „საზოგადოებისათვის“ მეტად მნიშვნელოვანია ეს ამბები. ჩვენ გვინდა დაწვრილებით გავიგოთ, რაშია საქმე? რა ამბავია, რის ნიშნად დაწყებულა კოცნაობა ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები პარტიულ ამხანაგებს

5

ერთი მხრივ, თანამედროვე პოლიტიკურ მოქმედების პირობებში, თითქმის იკარგება ყოველი რწმენა პოლიტიკურ ფორმათა ძალღონეში და ნიადაგს უმზადებს იმ სკეპტიციზმს და პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს, რომელიც ასე დამახასიათებლად აჩნდება პოლიტიკურ ცხოვრებას. და ერთი შეხედვით თითქოს არის კიდეც ამგვარი უიმედობის და პოლიტიკური განდგომილობის საბუთები. მთავრობათა ხშირი ცვლა, რომელნიც ბევრს ჰპირდებიან პირველ დღეს და ცოტას აკეთებენ მოქმედების პროცესში — აი რა აცილებს უნიად მოქალაქეთა სასოებას. მაგრამ ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება ასე. ის კი, ვინც მოვლენის არსებასაც ჩასწვდება, უსათუოდ დარწმუნდება, რომ პოლიტიკური სკეპტიციზმს მხოლოდ პოლიტიკური უქნარები აღვივებენ. ნამდვილად კი სახელმწიფო წყობილებას, პოლიტიკურ ფორმას დიდი გავლენა აქვს ხალხის ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე, ეკონომიურ მდგომარეობაზე. ხოლო თუ სკეპტიკოსებს თავის ურწმუნოებისთვის გამართლება მოეძებნებოდათ აბსოლუტური მონარქიის და საზოგადოდ ბიუროკრატიულ სისტემათა დროს, სამაგიეროდ მათი სკეპსისი კვდება დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც პრაქტიკული პოლიტიკა თვით ხალხის, ხელში გადადის თან-და-თანობით.

მაგრამ არც მეორე უკიდურესობას აქვს ჯეროვანი ნიადაგი. ე. წ. კვიეტისტები და ოპტიმისტები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ამა თუ იმ პოლიტიკურ ფორმულით მივაღწიეთ სრულ ყოფასო — ესეც გადაჭარბებული აზროვნებაა. სინამდვილე მათ დებულებასაც უარჰყოფს. უარჰყოფს მიტომ, რომ ყოველი პოლიტიკური ფორმა უსათუოდ უსრულობას შეიცავს. მხოლოდ თუ შეამცირებს ამ უსრულობას ესა თუ ის პროგრესიული ფორმულა, ხოლო სავსებით კი ვერ მოსპობს.

ყოველ პოლიტიკურ მოვლენას, სახელმწიფოებრივ ფორმას გარდამავალი მნიშვნელობა აქვს, ისე რომ პოლიტიკურ რევოლუციათა ხანის დასრულებაზე საუბარი შეუძლებელია. თანასწორობა თავისუფლება, წარმომადგენლობითი სისტემა, საყოველთაო არჩევნები და სხ... ჯერ კიდევ შორს არიან სასურველი ზენიტისაგან პოლიტიკურ ფორმათა და დაწესებულებათა ევოლუცია ადასტურებს ამ ნათქვამს. ავიღოთ მაგ. საფრანგეთი. მის პრაქტიკაზე ხომ დამტკიცდა წარმომადგენლობითი და პარლამენტურ სისტემათა დროულობა? პრეზიდენტის რამდენ უფლებას მიიღო ბოლო? იმ უფლებას, რომელიც გამოცხადებული იყო ქვეყნის ძირითად კანონად? პრეზიდენტის და დეპუტატთა უფლებამოსილობა თანდათან იძარცვება ხალხის მიერ. ხალხის წარმომადგენლები თანდათან ექვემდებარებიან ამომრჩევლებს, და ასე უმზადდება ნიადაგი უშუალო მმართველობას. ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატები. იქაც სწარმოებს ფართხილი მუშაობა პარლამენტის და წარმომადგენლობითი რეჟიმის წინააღმდეგ. ჯერ პოლიტიკური ორგანიზაციები ადგებიან რეფერენდუმის გზას და ტენდენციაც არის, რომ რეფერენდუმი თვით. პარლამენტშიაც შეიჭრება და წარმომადგენლებს უფლებას შეუცვლება. მაგრამ ყველაზე უკეთ შვეიცარია ადასტურებს ზემო მოყვანილ დებულებას.

ხალხის ინიციატივა ანუ რეფერენდუმი აქ ყველაზე მეტად არის შემოღებული. აქ ხალხი უკვე ეცილება თავის წარმომადგენლებს და პირდაპირ თვით სწყვეტს ამა თუ იმ საკითხს, ისე რომ დემოკრატიის წარმომადგენლობითი პოლიტიკური ფორმა თანდათანობით იცვლება პირდაპირი პოლიტიკური ფორმით, ეს მაგალითები კი დასაბუთებაა იმ დებულების, რომ არც წარმომადგენლობითი მმართველობა და არც პარლამენტარიზმი არ შეიძლება ჩავთვალოთ როგორც თანამედროვე დემოკრატიის საბოლოო პოლიტიკური ფორმა.

თანდათანობით ხალხი, მოქალაქეთა მასსა უფრო მეტად უახლოვდება მეურნეობას, უფრო მეტად ითვისებს უფლებებს და ადგილობრივ ანუ პროფესიულ ინტერესთა დასაცავად ჰქმნის ახალ, შესაფერ ორგანოებს, სოფლის და ქალაქის მუშათა სინდიკატები, სავაჭრო პალატები, მრეწველთა კავშირები და სხვ... ისე, რომ ნელ-ნელა პარლამენტი ღებულობს უბრალო რეგისტრატორის მომწესრიგებელის როლს.

კიდევ მრავალი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ რა საჭიროა ისტორიით დამძიმება, როდესაც უფრო გიგანტური სინამდვილე ბობოქრობს ჩვენს წინ და გვიბრძანებს მთელი თავისი ულმობლობით ჩავაკვირდეთ მას. რა ხდება დღეს? განა მხოლოდ მოსკოვისა და ლონდონ პარიზის შებრძოლებაა? რასაკვირველია არა. სწარმოებს იდეათა დიდი გადამიჯვნა „ღირებულებათა ხელახალი შეფასება", მეთოდებისა და ტაქტიკის შერჩევა. შეიძლება ხვალ კრემლის ალაყაფის კარს კომუნისტური დროშები ჩამოხიან, მაგრამ განა ამით გამოკეთდება ის კრიტიკული მდგომარეობა, რომელიც სოციალისტების დაქსაქსულ ბანაკებში არის გაბატონებული? რასაკვირველია არა. ერთხელ და სამუდმოდ უნდა ითქვას, რომ ლიბერალიზმაცრილი სოციალიზმი, რომელიც ბურჟუაზიის კაბინეტებში მოშინაურდა, გამოუსადეგარია. მთელი მისი გენიალობა მეორე ინტერნაციონალში ჩამოიქნა, და მისი ჰოგონებაც იმ ნანგრევებ ქვეშ დარჩა. ცხოვრება აქეთ წამოვიდა. ჩვენც აქეთ მოვდივართ, და ძველი ტიბიკონებით სიბრძნის თავი უნდა დავანებოთ. ყველაფერს უნდა დიდი რევიზია მოუხდინოთ. მით უმეტეს, რომ არც ტაქტიკა და არც სახელმწიფოებრივი ფორმა თავის-თავად არ წარმოადგენს რაიმე ღირებულებას. მათი მნიშვნელობა დამოკიდებულია, და განიზომება იმ შედეგებით, რომელსაც მივაღწიეთ მათი საშუალებით. თანაც ყურადღების გარეშე არ უნდა დავტოვოთ ის ტენდენცია რომელსაც ამჟღავნებს დღეს ბრძოლის ველზე გამოსული „დიდი უცნობი" ანუ მშრომელი ხალხი.

უკვე ექსპერიმენტალურად დამტკიცდა რომ ძველმა სახელმწიფო ფორმებმა, და მათთან ერთად პარლამენტარიზმმა გადამაბრუნა თავის არსება, და მასში აღარაფერია დარჩენილი. ყველა სოციალისტისათვის აშკარა უნდა იყვეს, რომ მის თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ, მუშათა წრეებში ფსიხოლოგიურადაც კი მიუღებელი შეიქმნა. უფრო მეტი: არამც თუ ბურჟუაზიულ პარლამენტს, თვით სოციალისტებსაც კი ეჭვის თვალით უცქერიან, და მუშები, დამოუკიდებლად, საკუთარ ინიციატივით ოცნებობენ ცხოვრების სტრუქტურის შეცვლას. გადახედეთ რუსეთს, გადახედეთ იტალიას. საფრანგეთს, ინგლისს, გერმანიას. შეხედეთ სადა თვალით დარწმუნდებით, რომ მეურნეობა ყოველ დღე უახლოვდება მუშებს, და იდეურად სხვა შესაძლოება ვერც კი წარმოუდგენიათ ამ მომავალის „პატრონებს." მე წინა წერილში ვამბობდი, რომ პარლამენტი არ ყოფილა ჩვენს პირველ კონფერენციაზე პირველ კატეგორიის მოვლენად დასახული, რომ მუშათა ორგანიზაციებზე ამყარებდნენ ჩვენი პირველი ამხანაგები ცხოვრების გარდაქმნის დიდ სიმძიმეს. მაგრამ ეს ძველი ფორმულებიც რომ არ გვქონდეს, ჩვენ დღეს უნდა შეგვექმნა იგი, რადგან ამას ბრძანებს ჩვენი ბრძოლის დღევანდელი მდგომარეობა. პოლიტიკა და რევოლუცია ხომ კატოლიციზმი არ არის, ან და ბიზანტიური ქრისტიანობა, რომ ერთი სიტყვის შეცვლისთვის შერისხვა დავიმსახუროთ. პოლიტიკა მუდმივი ცვალებადობაა, და რევოლუცია ხომ უფრო მეტი. და თუ გვსურს ისტორიის მსვლელობას არ ჩამოვრჩეთ, თუ გვსურს ამ დიდ ამბავთა სარგებლობით გამოყენება, ანგარიშიც უნდა გაუწიოთ ყველა იმ ახალ ფაქტორებს, რომელნიც უკვე შეეჭრნენ ამ პროცესს და მიმართავენ კიდეც ახალი გზით. და მხოლოდ რეგვენი ჩასთვლის ამას პრინციპების ღალატად, და ჩვენ კი მათი აზრი არ გვაინტერესებს.

ჩვენი მიზანია: ისტორიის ყოველ მოვლენას წინა რიგებში ვიდგეთ, და ჩვენი ქვეყნის თუ ჩვენი იდეების გამარჯვების პერსპექტივებს ნათლად ვხედავდეთ. თუ რამის შეცვლა მოითხოვა საქმის აუცილებლობამ, არც ამ მსხვერპლს შევუშინდებით, რადგან პროგრამები ჩვენ ცხოვრებისთვის გვჭირდება, და ასე უნდა მოიქცეს ყველა, ვისაც უნდა ბრძოლა და მოქმედება ერის თუ ქვეყნის სასარგებლოდ.

ასე უცქერით ჩვენ მუშათა საბჭოების საკითხს. მისი ფორმულა ძველადვე გვქონდა მიღებული. ფორმულის კონკრეტიზაცია დღეს მოითხოვა ცხოვრებამ, და ამ მოთხოვნილებას ჩვენს პასუხს ვაძლევთ საბჭოთა სისტემის მიღების სახით.

ბურჟუაზიისთვის ერთგულებაზე არასოდეს დაგვიფიცია, რომ აქ ღალატი გამოჩნდეს.

ჩვენი მშრომელი [illegible] უფრო გამოსადეგია, ვიდრე გამოქვეყნებული [illegible] „დიდი" ტრადიციებით და მკვდარი სქემატიურობით. მომავალიც აქეთ მოემართება. ეს უნდა დაინახოთ.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## რას ნიშნავს

ღია ბარათი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობას („რაბისს")

ჩვენ მიერ მიღებული ცნობებით სახელმწიფო დრამის თეატრის ადგილობრივი კომიტეტის მიერ წარდგენილი სიები, შაბათს ივლისის 9 მოქალაქე არუთინოვსა (მდივანია გამგეობის) და მანსკი-ნარიმანოვს (საორგანიზაციო საინსტრუქციო განყოფილების გამგეა) არ მიუღიათ, როგორც ქართულად შედგენილი, იმ მოსაზრებით, რომ კავშირის საქმეთა წარმოება რუსულ ენაზე სწარმოებს.

ამასთან დავსძენთ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა.

ვაქვეყნებთ რა ასეთ ფაქტებს, ჩვენ ვეკითხებით, როგორც კავშირის გამგეობას, ისე კომფრაქციას, რომლის პასუხისმგებელი მდივანიც არის მოქალაქე არუთინოვი — რას ნიშნავს ასეთი საქციელი და როდის მოეღება ასეთ მოვლენებს ბოლო?

კავშირის წევრი.

## † პავლიკო ბეჟანიძე

დღეს თითქმის ნახევარი წელი სრულდება, რაც დავკარგეთ ჩვენი მეგობარი პავლიკო. ამ ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ პავლიკოს შესახებ ორიოდე სიტყვაც არ დაგვიწერია. არ დაგვიწერია იმიტომ, რომ არ შეგვეძლო პავლიკოზედ წერა, სიტყვების ნაცვლად ცრემლი საუბრობდა პავლიკოს აჩრდილთან. ეხლაც კი, როდესაც ნახევარმა წელმა განვლო, ეხლაც არ შეგვიძლია დავწეროთ რამე გულდამშვიდებით ისე, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი მდგომარეობა პავლიკოს დაკარგვით.

ვინც ახლოს ვერ იცნობდა პავლიკოს, შეიძლება გაზვიადებულად მიიღოს ჩვენი შეფასება.

# იმპერიალიზმი და რევოლუცია აღმოსავლეთში

4.

იმპერიალიზმისა და ფინანსიურ კაპიტალის ბატონობის დამახასიათებელი თვისება არის ჩამორჩენილ კოლონიების სრული დამონება. „ფინანსიურ კაპიტალს სურს ბატონობა და არა თავისუფლება", ამბობს ჰილფერდინგი.

მაგრამ ეს მოვლენა საერთო დამახასიათებელი თვისება არის ყოველგვარი დროის იმპერიალიზმისა. იმპერიალიზმს სარჩულად ბატონობა უდევს და ამ ნიადაგზე მტკიცდება მისი არსებობა. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ისტორიულ ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებში იმპერიალიზმის ბატონობის საფუძვლები და შინაარსი სხვადასხვა გვარი არის. დღევანდელი იმპერიალიზმი თავისი შინაარსით და პოლიტიკურ-ეკონომიური ფორმულებით არსებითად განსხვავდება ძველი რომ. ის იმპერიალიზმისაგან, თუმცა ორივე გამოხატავდა ბატონობას ერთი სახელმწიფოსას სხვა ქვეყნებზე. აგრეთვე კაპიტალიზმის პირველი პერიოდების იმპერიალისტური პოლიტიკა სხვაგვარ შინაარს დებულობს თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალის ხანის იმპერიალიზმთან შედარებით.

თუ განვიხილავთ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის განვითარების უმთავრეს მომენტებს, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ განუვითარებელ ქვეყნების ყვლეფა და განადგურება სპა და სხვა ფორმებისა და საშუალებით დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ევროპის სახელმწიფოთა კაპიტალისტური კულტურის ყველა თავის პერიოდებში.

სავაჭრო იმპერიალიზმის პერიოდში ევროპის კაპიტალისტები ცდილობდნენ გამოეტანათ ჩამორჩენილ მხარეებიდან ის, რაც ყველაზე ძვირფასი იყო და სამაგიეროთ შეეტანათ, რაც ნაკლები ღირებულებით განისაზღვრებოდა. ამ პერიოდში დამოკიდებულება მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის სავაჭრო კაპიტალითა და ურთიერთობით ხასიათდება, ამ გვარად პირველს თავის ფაზაში ევროპის იმპერიალიზმი კოლონიის ექსპლოატაციას ახდენს ვაჭრობის ნიადაგზე.

სამრეწველო კაპიტალი და მის პერიოდში მეტროპოლიის მიზანია ფართო გასავალი მოუპოვოს კოლონიებში თავის საქონელს და სამაგიეროდ გამოიტანოს იქიდან ნედლი მასალა თავისი წარმოებისათვის. ეს პერიოდი საყურადღებოა მით, რომ მეტროპოლია ყოველთვის ცდილობდა გაენადგურებინა დაპყრობილ მხარეში მის წინააღმდეგ მიმართული წარმოება. ინგლისის სამრეწველო კაპიტალმა მოჰკლა სფეიქრო წარმოება ინდოეთში, ჩაახშო ირლანდიის მრეწველობა და ასეთივე პოლიტიკის გზით შეიჭრა ყველა თავის კოლონიებში, სადაც გაანადგურა არსებული ინდუსტრიის ელემენტები. და ამით მეტროპოლია ქმნიდა ისეთ პირობებს, რომელიც აიძულებდა ჩამორჩენილ მხარეებს, ეყიდათ მხოლოდ მეტროპოლიაში დამზადებული საქონელი და სამაგიეროთ მისთვის მიეცათ დაგროვილი ნედლი მასალა.

სულ სხვა სურათი გვეშლება თვალწინ ფინანსიური კაპიტალიზმის ბატონობის ხანაში. აქ დამოკიდებულება მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის უფრო რთულსა და სისტემატიურს ხასიათს დებულობს. მათ შორის ეკონომიური ურთი-ერთობა მტკიცე და მაგარი პოლიტიკური ორგანიზაციის სალტეებით ინასკვება; კოლონიების მნიშვნელობა უფრო ფართოვდება: მათი როლი მარტო სავაჭრო საქონლის გასაღებითა და ნედლი მასალის მიწოდებით კი არ განისაზღვრება; აქ აგრეთვე უმეტეს გასავალს ჰპოულობს მეტროპოლიაში თავისუფლად დარჩენილი ზედმეტი სამრეწველო კაპიტალი. ამ გვარად კოლონია სამრეწველო ბაზად ხდება, სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში გამეფებულ საქონლის ექსპორტს ემატება თვით კაპიტალის ექსპორტი მეტროპოლიიდან. ამ ცვლილებასთან ერთად იცვლება ხასიათი კოლონიების ექსპლოატაციისა და თვით სახელმწიფოს დამოკიდებულება მათდამი; კოლონია ყოველმხრივი ექსპლოატაციის ობიექტი ხდება და იგი იმპერიალიზმის მაგარი არტახებით არის შებორკილი.

ჩვენ ვხედავთ, რომ განსაზღვრულს პერიოდებში კაპიტალისა და კოლონიალურ პოლიტიკის მიზნები სხვა და სხვა გვარია. ასეთი მდგომარეობაზე იყო აგებული ამ პერიოდში ურთიერთობა კოლონიებსა და მეტროპოლიის შორის. მეტროპოლია გარკვეული მიზნებით მიდის კოლონიაში და თავის მიზნებთან და სურვილებთან შეწონილს პოლიტიკას აწარმოებს იქ.

დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმისა და კაპიტალის შესვლა კოლონიებში იწვევდა იქ არსებულ სოციალურ სტრუქტურის დარღვევას, პოლიტიკური წყობილებას დაშლას და ეკონომიური ურთიერთობის ძირიან ფესვიანად გარდაქმნას. ევროპის ბატონობამ აღმოსავლეთში შეარყია ათასი წლობით შექმნილი სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიური საფუძვლები და მთელი მხარე თავისი მიზნების შეფარდებით მომართა. ევროპის შესვლა აღმოსავლეთში მრავალ მნიშვნელოვან ტეხილებითა და ცვლილებებით ხასიათდება. ყოველივე ეს ხდებოდა სისხლითა და მახვილით. ინგლისის ორი საუკუნეზე მეტმა ბატონობამ ინდოეთში მრავალი მილიონი ადამიანთა მსხვერპლი შეიწირა და დამღუპველს სიღატაკეში ჩააგდო ინდოეთის მშრომელი მასები. ამერიკის ყოფილი სტატს-სეკრეტარი ვ. ბრიანი თავის წიგნში ინდოეთის შესახებ ამბობს: „ინგლისი ამაყობს იმით, რომ მან მისცა ინდოეთს მშვიდობიანობა; არსებითად მან მოუტანა ინდოეთის რამოდენიმე მილიონ მცხოვრებთ სიკვდილი... ის სწუწნის წვენს ინდოეთიდან კანონის მიერ დართული ავაზაკური საშუალებით".*) ინდოეთი ერთი დიდი მსაზრდოებელთაგანია მთელი კაცობრიობის. მიუხედავათ ამისა იქ შიმშილით იღუპება უზღვავი ხალხი. ვ. დიგლის ცნობით 1850—1875 წ. ინდოეთში შიმშილით დაიხოცა 5 მილიონამდი ადამიანი, 1875—1900 წ.—26 მილიონამდე.*) ამის მიზეზები ინგლისის ეკონომიურს პოლიტიკაში მარხია. ინგლისი მთელი თავისი ძალებითა და საშუალებებით ყვლეფს ინდოეთს და არავითარ ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებას. მაშინაც კი, როდესაც ინდოეთში საშინელი შიმშილი მძვინვარებდა და ხალხი მილიონობით იხოცებოდა, ინგლისის პოლიტიკოსები საკვებ პროდუქტებს თავიანთ სამშობლოსაკენ მიაქანებდნენ. 1899—1900 წლებში ინდოეთში დიდმა შიმშილობამ მოიკიდა ფეხი, მიუხედავათ ამისა ბრიტანეთის მიერ ინდოეთიდან გატანილი იქმნა 60 მილ. გირვანქა სტერლინგზე მეტი ღირებული მარტო ხორბალი, 1917—1918 წლებში ინდოეთიდან გაიტანეს 247 მილ. გ. რ. სტერლინგზე მეტი ღირებული საკვები და სურსათი. ამ წელში კი ინდოეთში შიმშილობა იყო. გამოანგარიშებულია, რომ ზემოდ აღნიშნულ წლებში ინგლისმა შიმშილით ამოსწყვიტა 32 მილიონი ქალი, კაცი და ბავშვები მთელს ინდოეთში.

ეს ფაქტები ნათელს ფენენ ინგლისის ბატონობა ინდოეთში. მაგრამ იმპერიალიზმის ბატონობის სრული დასახასიათებლად აღმოსავლეთში საჭიროა საკითხი უფრო გავაფართოვოთ და განვიხილოთ როგორც პოლიტიკურის მხრით, აგრეთვე ეკონომიურის. როგორია ის ცვლილებები, რომელიც შეიტანა იმპერიალიზმმა აღმოსავლეთის ხალხთა პოლიტიკურს წყობილებაში და როგორი პოლიტიკური, ეკონომიური და ეროვნულ უფლებებს ჰქმნიდა ადგილობრივ მცხოვრებთათვის. ერთი სიტყვით როგორი სოციალ-პოლიტიკური წყობილება შექმნა ევროპის იმპერიალიზმმა აღმოსავლეთში.

თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ იმპერიალიზმის შინება კოლონიის სრულს დამონებაში გამოიხატება, ის ცდილობს მთელი კოლონია თავისი ყოველმხრივი ბატონობის ქვეშ მოამწყვდიოს, ეკონომიური და პოლიტიკური დამორჩილება და მეტროპოლიის სრული დიქტატურა მათზე. ასეთია კოლონიებისადმი მიმართული იმპერიალისტური პოლიტიკის საფუძვლები. იმპერიალიზმი ყოველს პირობებში და ყველგან ცდილობს, მდგომარეობის მიხედვით, სისრულეში მოიყვანოს ეს თავისი მიზნები.

ინგლისის შესვლა ინდოეთში ეს იყო იქ არსებული სოციალური წყობილების გარდატეხა და ახალი ხანის დაწყება ინდოეთის ცხოვრების ვითარებაში. ამას, რომ ინდოეთის წარმომადგენელმა კომინტერნში საყურადღებო წერილი უძღვნა ინდოეთის რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიას და იმ ცვლილებებს, რომელიც შეიტანა ინდოეთის ცხოვრებაში ინგლისის ბატონობამ. ჩვენ შევეცდებით ამ წერილიდან რამოდენიმე დამახასიათებელი მომენტები მოვიყვანოთ.

იმ პერიოდში, როდესაც მხარეს ინდუსისა და ბუდისტური მეფეები განაგებდნენ, ეკონომიური და სოციალური წყობილება მიემართებოდა იმ გზით, რომელსაც კომუნისტური ეწოდება. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ერთეული იყო ა. წ. „პანჩაიეტ"-ი. ამაზე იყო აგებული მთელი ფუძე საზოგადოებისა. ამ ორგანიზაციების უმთავრესი იდეა ის იყო, რომ თემის საქმეები უნდა ეწარმოებიათ თვით მის წევრებს. ინდუსები, ინგლისელების მისვლამდე არ განიცდიდნენ სახელმწიფოებრივ აპარატის ჩაგვრას და მთელი პოლიტიკური წყობილება ავტონომიურს უფლებებზე იყო აგებული. კომუნა ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა.

---

*) Г. Зиновьев: „Война и кризис социализма". Ч—1-ая გვ. 133.

*) იქვე. გვერ. 132.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სტუდენტი, იგი იყო „სათუთესო მეყვითი და მოყვარე თავის დარგის.

როგორც პარტიის წევრი, იგი საუკეთესო აქტიური მებრძოლი იყო. ქუთაისის ახალგაზრდობის სული და გული, როგორც თანამგრძნობთა ისე მოწინააღმდეგეთა, მას უდიდესად აფასებდა და პატივს ცემდა. არა ერთი და ორი მოხსენება წაუკითხავს პალიკოს „ჩვენი სოციალისტური მსოფლმხედველობის“ შესახებ და როგორც მისი მოხსენება, ისე კამათიც, არასოდეს არ ასცდენია საგნის სიღრმეს და პარტიულ კინკლაობამდე არ გამხდარა. შეუდარებელი იყო პალიკო, როგორც ორგანიზატორი. მოწვეულმა კონფერენციამ სამართლიანად აღნიშნა, რომ ისეთი მომქმედი კომიტეტი, როგორიც იყო დასავლეთ საქართველოს სოც.-ფედ. კომიტეტი, არ ახსოვს ჩვენი ორგანიზაციის ისტორიასა და ამ კომიტეტის თავმჯდომარე იყო პალიკო, რომელიც ერთი ხელით ქუთაისის ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა და მეორე ხელით კი პროვინციებს ეხმარებოდა.

როგორც პიროვნება, პალიკო იყო ბროლივით სპეტაკი, თავისი ზნეობით, თავისი ყოფაქცევით, თავისი მოქმედებით.

რა საჭიროა აწ ამის აღნიშვნა. პალიკოს უკანასკნელი ნაბიჯი, უკანასკნელი მოქმედება ამისი სურათია.

... კოჯრის მიმართულებით ზარბაზნის ცემა მოისმის... პალიკოს ჭკვიანი თვალები შეშფოთებული დაგვეძებს უნივერსიტეტის ეზოში, სადაც სტუდენტთა საერთო კრებაა გამართული. მეორე დღეს ვხედავთ პალიკოს, გამალებული მიიჩქარება და გვეუბნება თავის რაზმის სახელს. ჩვენ სხვა რაზმში ვართ ჩაწერილები. იმ დღეს ერთმანეთს ვშორდებით. გადის სამი დღე. მეოთხე დღეს მიხეილის საავადმყოფოში—მივდივართ პალიკოს ცხედარი იქ ასვენია. სძინავს ჩვენს პალიკოს. პირზე თითქო ღიმილი მოსდის მეგობრების შეხვედრისას. ირგვლივ ქვითინი და გლოვა. ერთი მახვეოპლი აქ ასვენია. პალიკოს სადგურზე ვაცილებთ. ღამის 11 საათზე მატარებელი იძვრის ტფილისის სადგურიდან: მეორე ღამეს საათის 2-ზედ რიონში ვართ. იქ გვეგებება ქუთაისის ახალგაზრდათა მიერ არჩეული დამკრძალავი კომისია. მიგვყვებიან ყველას, მის მეგობრებს ისე, როგორც მას. ქუთაისში ჩავედით. მიუხედავად ცუდი ამინდისა და ღამის 3 საათისა, ქუთაისის ახალგაზრდობა სადგურზე გვიხვდება. ტირიან ყველანი. ეხვევიან ვაგონს. გულწრფელად გლოვენ გულწრფელ მეგობარს. მეორე დღეს დილის 11 საათზე ქუთაისის სადგური ახალგაზრდობით ივსება. მოდიან მშობლებიც, ერთად ერთი ვაჟის დამკარგავი მშობლები. საზარი სურათია. გლოვა და ვიში. ცხედარი არქიელის მთაზე ავაცილეთ.

დასაფლავების დღეს ზღვა საზოგადოება ეფინება არქიელის მთას. ოთხი მეგობარი პალიკოს ცხედარს ვასვენებთ შინიდგან. მაგრამ სად და რისთვის? ისმის სიტყვები. არაჩვეულებრივი სიტყვები ახალგაზრდობისა. ტირის მთქმელი, ქვითინებს მსმენელი. საღამოს საათის 6 ზედ, მთავარ ანგელოზის სახელობის ეკლესიის ეზოში, უკანასკნელად ვკოცნით პალიკოს გაცივებულ შუბლს უკანასკნელად ვხედავთ პალიკოს ლამაზ და ჭკვიან სახეს. სამარის ცივი სუდარა სამუდამოდ ერთმანეთს გვაცილებს. მეორე დღეს პალიკოს საფლავზე ცოცხალი გვირგვინები და ვარდები სჭკნება.

12 ამა თვეს ქუთაისში პალიკოს პანაშვიდი, ქუთაისის ახალგაზრდობა კიდევ ერთხელ მოვა მშვენიერი პალიკოს ლამაზ საფლავთან და კიდევ ერთხელ დაიტირებს თავის წრიდგან გამოსულ პატარა გმირს, პალიკო ბეშკენაძეს.

შენი ხ. ამაღლობელი, დ. გედევანი.

# ახალი ამბები

— „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს შემდეგ ნომერში დაიბეჭდება ისტორიული დოკუმენტი—აჭარისტანის მეჯლისის მემორანდუმი საქ. რევკომისადმი. გაზეთის მთელი ნომერი შედგენილი იქნება ხსენებულ დოკუმენტის გამო.

† **საქართველოს კათალიკოზის გარდაცვალება.** გუშინ, 11 ივლის საღამოს 5 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოსი ლეონიდე.

[illegible]— **სახალხო სამეურნეო ინსტიტუტი.** უნივერსიტეტის გამგეობამ მიმართა თხოვნით კომკავშირს, რომ გადაეკეთოს და რემონტი მოუხდინოს ქვეყნის სასულიერო სემინარიის შენობას, რომ გამოყენებულ იქნეს იგი სახალხო სამეურნეო ინსტიტუტისათვის.

— **ნატურით გადახდა.** ხარჯის გამწერმა განყოფილებამ აცნობა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებას, რომ სადესეტინო გადასახადის მაგიერ დაწესებულია ნატურით გადახდა საზაფხულო საძოვრებზე. სახელდობრ: 1-ლი კატეგორიის დესეტინაზე 4 გირ. ფუფუთიანი მატყლი ან 2 გირ. გარეცხილი მატყლი. 2-ე კატეგორიის დესეტინაზე 2 გირ. ფუფუთიანი მატყლი ან 1 გირ. გარეცხილი მატყლი. 3-ე კატეგორიის დესეტინაზე 1 გირ. ფუფუთიანი მატყლი ან 1 გირ. გარეცხილი მატყლი.

ადგილობრივი ყველით: 1-ლი კატეგორიის დესეტინაზე 6 გირ. 2-ე კატეგორიის 3 გირ. 3-ე კატეგორიის ნახევარი გირ.

შვეიცარული ყველით: 1-ლი კატეგორიის დესეტინაზე 2 გირ. 2-ე კატეგორიის 1 გირ. და 3-ე კატეგორიის ნახევარი გირ.

რაც შეეხება ერბოს, დესეტინაზე 1-ლ კატეგორიისა 2 გირ. 2-ე კატეგორიის 1 გირ. და 3 ე კატეგორიის ნახევარი გირ.

იმ შემთხვევაში, როცა არ შეიძლება ნატურით გადახდევინება, როგორც მაგ. როცა აძოვებენ ღორებს, ცხენებს და სხვ. მაშინ მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით გადაწყვეტილია გადაიხადონ ფული: მსხვილ-ფეხა საქონელზე თითოზე—500 მან., ცხვარზე—900 მან. ღორზე—300 მან. და თხაზე 1000 მან.

— **ქალთა კრება.** ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოება სამშაბათს, ივლისის 12 საღამოს 6 საათზე პირველ ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში (შესავალი სობორის მხრიდგან) მართავს საზოგადო კრებას. კრება მეორეთ ინიშნება და გაიმართება რამოდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

— **მათხოვრის სახალხო სახლს** ლ. ძიძიგურმა ერთი წლით გამოუწერა ჩვენი გაზეთი.

— **ადგილების დანაწილება ჩქარ მატარებლებში.** ჩქარ მატარებლებში № 9 და 10. რომელიც დადის თბილისს და როსტოვს შუა, ადგილები შემდეგნაირათ დანაწილდება: მხედრების ვაგონში სამხედროები, მოსამსახურეთა ვაგონში—გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის, აგენტები რომლებიც სამსახურის გამო მიემგზავრებიან რკინის გზის სამართველოთ, ხაზზე კი განყოფილებათა უფროსები, დელეგატების ვაგონში ისპოლკომები, დასაძინებელ ვაგონში ქალებისა და ბავშვებისათვის ადგილები გადაიდება ვაგონის დაინიშნულების მიხედვით მატარებლის უფროსის და სადგურის უფროსის მიერ.

# რადიო

**ზემო სილეზიაში**

**ლონდონ.** ივნისის 28. ზემო სილეზიის ევაკუაციის დამტკიცებული გეგმა პოლონეთის მიერ სამშაბათამდის შედის ძალაში. გენერალი გოფერი „გაემგზავრა ოპელნეში, რომ გამოარკვიოს ზოგიერთი მუხლები 12 კაცისაგან შემდგარ კომიტეტთან. იმედი აქვთ, რომ შეთანხმება მიაღწევს სასურველ ბოლოს.

**ირლანდია და ინგლისი**

**ლონდონ** ივნისის 27. ლოიდ-ჯორჯმა მოიწვია ლონდონში მოსალაპარაკებლად ირლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დე-ვალერი და პირველი მინისტრი ჩრდილოეთ ირლანდიისა ჯემს-კრეგი. ლოიდ ჯორჯმა აღუთქვა ხელშეუხებლობა დე-ვალერეს და მის მეგობრებს.

**2,2 მილიარდი მარკა**

**ნაუენ.** აღმადგენელი კომისია აღნიშნავს, რომ გერმანიამ ანტანტას გადაუხადა ივნისის განმავლობაში მილიარდი მარკა. კომისიამ დაადგინა შეუდგეს „აღმადგენელ მოწმობების“ ბეჭდვას, რომლის ღირებულებაც უნდა უდრიდეს ერთ დოლარს.

**ეკონომიური ნგრევა ლოტარინგიაში**

**ნაუენ.** ეკონომიური ნგრევა ლოტარინგიაში, რომელიც შეუერთდა საფრანგეთს, ძლიერდება. 89 ფაბრიკიდან მუშაობს მხოლოდ 25. წისქვილების უმეტესი ნაწილი გაჩერდა. მუშები ოჯახობით სამშობლოს განიკვდიან. ძლიერდება კომუნისტების გავლენა.

**ინგლისელი მატროსები.**

**ნაუენ.** ინგლისელ მატროსების და გემთა მეპატრონეების კომიტეტმა განაცხადა თავიანთი სურვილი ხელფასის შემცირების შესახებ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეუძლიან დაუშვან უმუშევართა გამრავლება.

**ანგორის საგარეო პოლიტიკა.**

**ანგორა.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თეზი-ფაშამ დიდი ეროვნულ ყრილობის სხდომაზე ანატოლიის მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ განცხადება გააკეთა. თეზი-ფაშის სიტყვით ანატოლიის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ამ უკანასკნელ ხანში არავითარი ცვლილება მომხდარა. იმ გზამ, რომლითაც მიდიოდა ანატოლიის მთავრობა მოგვცა ისეთი შედეგები რომელიც უკარნახებს მას იმავე გზაზე მომავალშიც დარჩენის აუცილებლობას. მთავრობა მტკიცედაა დარწმუნებული, რომ დიდი ეროვნული ყრილობის დახმარებით მიაღწევს თავის მიზანს და განაგრძობს ბრძოლას მანამ, სანამ ოსმალეთის პოლიტიკურ ეკონომიური და ფინანსიურ დამოკიდებულებას არ უზრუნველჰყოფს და სანამ ოსმალეთის ეროვნული გაერთიანება არ განმტკიცდება საერთაშორისო ხელშეკრულობით. უკვე ახლოა ის საბედნიერო დღე და საათი, როცა მტრის უკანასკნელი ჯ. კაცი დასტოვებს ოსმალეთის მიწა წყალს. მდიდარი ისტორიისა და სახელოვანი წარსულის მქონე ოსმალეთის ხალხი არას დროს არ მიეცემა სულიერ სისუსტეს და დადვრემილებას.

მიუხედავად არა ერთხელ თავის ხმალის გამარჯვებისა, ოსმალეთი თავის მტრებს, არ უყენებს ახალ მოთხოვნილებებს. ოსმალეთს დღემდეც არ უთქვამს უარი ზავზე, რომელიც უზრუნველჰყოფდა მის საარსებო და დამოუკიდებლობის უფლებებს და აგრეთვე არც შემდეგში იტყვის უარს ასეთ ზავზე. ეხლა ანატოლია მთელ თავის სულიერ და ნივთიერ ძალებს შეახმარს იმას, რათა დაიცვას ხალხი მის არსებობაზე თავდასხმისაგან. განათლებული ქვეყნიერება აწი არ უნდა დარჩეს გულგრილათ დაუსრულებელ გადაბუგვას, მკვლელობის და ძალადობის წინაშე, რასაც ადგილი აქვს ოსმალეთის უმდიდრეს ადგილებში. ყველა განათლებულ ხალხთა საზოგადოებრივმა აზრმა სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრას ბერძენთა მიერ ჩადენილი ბარბაროსობა და სისასტიკე, რაც გამოიხატა მუსლიმანური სოფლების და ქალაქების აოხრება-განადგურებაში.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას თეზი-ფაშის სიტყვით მთავრობამ თავის აღმოსავლეთურ პოლიტიკით სრულებით დამაკმაყოფილებელ შედეგს მიაღწია. ხალხი სავსებით კმაყოფილია მეგობარ საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკასთან მეგობრულ ხელშეკრულებით შემდეგში მთავრობის თავმჯდომარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯარის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ისმაილ... ძლევა მოსილი ანატოლიის ჯარით, მიაღწია რა მან აღმოსავლეთის და დასავლეთის ფრონტებზე ბრწყინვალე გამარჯვებას. განაგრძობენ განსაკუთრებულ გმირობის გამოჩენას და განაგრძობს ბრწყინვალე გამარჯვებით სვლას ქვეყნის წინაშე წამოჭრილ ამოცანების საკეთილდღეოთ გადასაჭრელად; ხსნა ერისა და მისი დამოუკიდებლობისა.

**ანატოლიის ევაკუაცია.**
**იტალიელებს ანატოლიიდან ჯარები გამჰყავთ.**

**ანგორა.** ანატოლიიდან მოსულ დეპეშების ცნობით, ანატოლიაში მყოფ იტალიელთა საოკუპაციო ჯარების სარდალი ინახულა ანატოლიის გუბერნატორი და განუცხადა მას, რომ მან მიიღო თავის მთავრობისაგან ოფიციალური ბრძანება ანატოლიიდან ჯარების გამოყვანის შესახებ.

**ამბოხება მესოპოტამიაში**

**ანგორა.** მესოპოტამიის ქალაქების მიდამოებში ადგილობრივ მცხოვრებთა და ინგლისელების შორის მოხდა დიდი შეტაკება. მცხოვრებლებმა ინგლისელებს წაართვეს რამდენიმე ზარბაზანი და ბევრი იარაღი.

ინგლისელთა ჯარები მესოპოტამიის სხვა და სხვა [illegible] სიმაგრეების აგებენ.

**ქალაქთა დაცვა**

**ანგორა.** ინგლისელებმა ოფიციალურად აცნობეს ოსმალეთის მთავრობას, რომ ისინი სცლიან ანატოლიას . . . . ანგორაში ამ ფაქტს უყურებენ, როგორც ანატოლიის ეროვნულ მთავრობის ახალ გამარჯვებას.

**ახალი მხეცობა.**

**ანგორა.** ადანში, მერსინაში და სხვა ადგილებში მუსულმან მოსახლეობის მიმართ გაძლიერდა მხეცობა. დღითიდღე იზრდება გაბოროტება ფრანგების წინააღმდეგ.

**განათლება ანატოლიაში.**

**ანგორა.** ანატოლიის სახალხო განათლების სამინისტრო იწვევს ანგორაში განათლების მოღვაწეთა ყრილობას, პრესა აღნიშნავს, რომ ხალხი ამ ყრილობიდან მოელის გადაწყვეტას, რომლითაც ძირიან ფესვიანად შეიცვლება სახალხო განათლების საქმე ანატოლიაში.

**უნდა დაიმსახურონ.**

**განოვერი.** იტალიის პალატამ გამოსთქვა სურვილი, რომ პოლონეთმა როგორ პირობებშიდაც უნდა იყოს შეინარჩუნოს თავის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. იტალია გამოხატავს ამ სურვილით იმას რომ მას გულწრფელათ სურს პოლონეთისათვის მტკიცე ზავი.

**აღმოსავლეთის საკითხი.**

**ლიონი.** ფრანგული გაზეთი „პტი ჟურნალი“ აღნიშნავს ლორდ კერზონის და ბრიანის საუბრიდან შეიძლებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ საბერძნეთის უარი ანტანტას შუამავლობაზე მათ მიერ გათვალისწინებული იყო. ამ შემთხვევაში თვითეულ შეთანხმების სახელმწიფოს უფლება ეძლევა იმოქმედოს ისე, როგორც მას მიაჩნია უფრო პრაქტიკულად. მოკავშირეებს მეტი აღარაფერი დარჩენიათ მოუცადონ მოწინააღმდეგეს მოქმედობის დაბოლოვებას. თუ მოკავშირეებს ამ ჟამად არ ძალუძთ შეაჩერონ ომი, შემდეგში ადრე თუ გვიან მათ ხმას კიდევ გაეიგონებთ. მოკავშირეები ვერ დაუშვებენ, რომ აღმოსავლეთის საკითხი გადასწყდეს მათ მონაწილეობის და კონტროლის გარეშე. გაზეთი „გოლუა“ აღნიშნავს, რომ საბერძნეთის და ოსმალეთის ამბები გამოიწვევენ სევრის ხელშეკრულების ან სრულიად სისრულეში მოყვანას ან და მას სრულ უარყოფას. საფრანგეთის სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ შექმნილ პირობებში ძნელია აიძულოს რომელიმე მოწინააღმდეგე, რომ იგი დაემორჩილოს გონებას. მცირე აზია ამ ჟამად გვაგონებს თოფის წამლით სავსე ბოჭკას. გაზეთი „ფიგარო“ ძლიერ უსაყვედურებს მეფე კონსტანტინეს და აცხადებს, რომ იგი ღირსი არ არის არავითარ შებრალების. მაგრამ უნდა გაფრთხილებულ იქნას საბერძნეთის ხალხი, მისი საუკეთესო ელემენტები, რომლებიც მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარებენ ომის ჩქარა დაბოლოვებას, რომ მათმა მთავრობამ ისინი მოატყუა.

**ანტანტა ეხმარება საბერძნეთს.**

**ლიონი.** საფრანგეთის პრესა განაგრძობს საბერძნეთის უარის განხილვას, ანტანტის შუამავლობაზე ოსმალეთ ბერძნების კონფლიქტის ლიკვიდაციის საქმეში. პრესა კატეგორიულად აფრთხილებს საბერძნეთის მთავრობას, რომ მა იმედი არ უნდა ჰქონდეს ანტანტის მხრივ რაიმე დახმარების გაწევაზე.

**ყოფილი მინისტრები.**

**ლონდონი.** ანატოლიის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრის ბექირ-სამი-ბეი მოელიან პარიზში.

# სამედიატორო სასამართლო.

(გაგრძელება)

ივნისის სხდომაზე ომის დამტკიცების შემდეგ ორივემხარემ თანხმობა განაცხადა რომ სასამართლომ გაარჩიოს და გამოარკვიოს 26 ივნისის ომში მოქცეული სადაო საკითხები. ამის შემდეგ მხარეები ასახელებენ მოწმეებს, თ. ღლონტი—ნ. ნიმანს, ს. ხუნდაძეს, დ. წერეთელს; პ. საყვარელიძე—ალ. არაბიძეს, გრ. მიქაშავიძეს, ალ. ბოლდატიევს, ს. დადიანს, ალ. წერეთელს, მუხრან ხოჭოლავას, ხოლო ორივე მხარე შ. გელოვანს, გ. გამ-

მე-3 საუკუნეში ინდოსტანი დაიპყრო მაჰმადიანებმა, დაარსდა დიდი მაჰმადიანური იმპერია, რომელსაც არ გამოუწვევია ინდოეთის საზოგადოების სოციალურ და ეკონომიურ წყობილებაში დიდი ცვლილებები. მასები თავისუფლად განაგრძობდნენ მუშაობას თავიანთ პროფესიებსა და სახელოსნოებში, გლეხები თავის მინდვრებში, „პანჩაიეტების“ ავტონომიურ უფლებების ქვეშ. მე-17-ე საუკუნეში დაიწყო ნაციონალური მოძრაობა მაჰმადიანების წინააღმდეგ. ევროპის კომერსანტები, რომელნიც შეიჭრნენ ინდოსტანში მე-16 საუკუნის მიწურულებში, ისარგებლეს მდგომარეობით, პოლიტიკურ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ და ქვეყნის ეკონომიური ექსპლოატაციისათვის ინდოეთის დაპყრობა ინგლისელების მიერ ხსნის ახალს პერიოდს ინდოსტანის ხალხთა ისტორიაში. ინგლისელების მოსვლით, ინდოეთის მშრომელი ხალხი პირველად მოექცა ცენტრალურად მოწყობილ ეკონომიურ ექსპლოატაციის ბატონობის ქვეშ. ინგლისმა თავისი ცენტრალიზმისა და ბიუროკრატიზმის არტახებით შებოჭა ისინი და ინდოეთმა იგრძნო სახელმწიფო აპარატის მთელი სისასტიკე. მსხვილი ინგლისური მრეწველობის დასაცავად, ბრიტანეთის მთავრობამ მოსპო ინდოეთის ძველი კულტურული წარმოება, რომლის ნაწარმოები შეადგენდა ექსპორტის უმთავრესს საგანს მე-18-ე საუკუნემდი. მსხვილი საქარხნო მრეწველობის შემოღებამ დაარღვია ინდოეთის საზოგადოების ძველი ეკონომიური წყობილება... ამ ცვლილებებმა გამოიწვია ის, რომ მცხოვრებლები დაუბრუნდენ მიწის დამუშავებას, და ინდოეთი შეიქმნა უმიწაწყლო გლეხთა ქვეყნად. ინგლისმა აგრეთვე დიდი ცვლილება გამოიწვია აგრარულს ურთიერთობაში და მთელი მიწა ინგლისის კომერსანტებს ჩაუგდო ხელში, რომლის საშუალებითაც ხდებოდა მშრომელი გლეხობის ექსპლოატაცია. გლეხები ამხედრდენ საერთო მიწების კონფისკაციისა და ძალდატანებითი შრომის წინააღმდეგ. თავიდანვე მთავრობამ რკინის ხელით ჩაახშო აჯანყება, მეორე აჯანყება მოხდა 1857—58 წლებში. ეს იყო ე. წ. სიპაების მოძრაობა. რევოლიუცია იმდენად სასტიკად იქმნა ჩაქრობილი, რომ ხალხი დიდიხნის განმავლობაში დაეცა ზნეობრივად. ბრიტანეთის ბატონობა ძლიერ გამაგრდა. ცხოვრებაში გატარებულმა ეკონომიურმა სისტემამ დიდი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ მმართველობაზე; მშვენივრად მოწყობილმა ბიუროკრატიულმა ორგანიზმმა ქვეყნის მთელი საწარმოო ძალები და მთელი ხალხი ინდოეთისა ბრიტანეთის მრეწველობის სრულს დიქტატურას დაუმორჩილა. ამ რკინისებური სისტემის შეუბრალებელი ზეგავლენით ეკონომიური ცხოვრების ძველი ტრადიციები გაჰქრენ და ჩვენ პირველ მაგალითს ვხვდებით ისტორიაში, როდესაც მთელი ხალხის ნამდვილ ეკონომიურ ექსპლოატატორად გამოდის პოლიტიკური მმართველობა*).

ამ მიმოხილვიდან, —რომელიც ინდოსტანის რევოლიუციონერის წრიდან მოვიყვანეთ ჩვენ, ნათელი და გარკვეული ხდება, რომ ინგლისის შესვლამ ინდოეთში გამოიწვია იქ არსებული სოციალ-პოლიტიკური საფუძვლების ძირიანი შეცვლა და მისი ბრიტანეთის იმპერიალიზმს სრული დამორჩილება. ინდოსტანი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო მთელი თავისი ავტონომიური ერთეულებით მოისპო და ბრიტანეთის სრული პოლიტიკური რეჟიმი განმტკიცდა. ჩვენ დავინახავთ, თუ როგორი ცვლილება გამოიწვია ამ რეჟიმმა ინდოეთის სოციალურსა და ეკონომიურს წყობილებაში. ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ აგრეთვე, თუ როგორი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები შეჰქმნა ბრიტანეთის ბატონობამ აღმოსავლეთის მცხოვრებთათვის ნაცვლად წართმეულ და განადგურებულ უფლებებისა.

სიმონ ხუნდაძე.

*) იხ. Рой: „Революционное движение в Индии“. ჟურ. „Ком. интернационала“-ში № 12.

რეკულს. სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია ჯერჯერობით დაკითხულ იქმნას—ნ. ნეიმანი, ს. ხუნდაძე, დ. წერეთელი, ალ. არაბიძე, გრ. მიქაშავიძე, ს. დადიანი, შ. გელოვანი, გ. გამრეკელი, ალ. ბოლქვაძე.

სხდომა გადაიდო ივნისის 29 სათვის. მოწმეთა შორის გამოცხადნენ—ალ. არაბიძე, ნეიმანი, ს. დადიანი, დ. წერეთელი, ს. ხუნდაძე, არ გამოცხადდა ბოლქვაძე, გელოვანი და გამრეკელი.

გრ. რცხილაძე—მოწმე ალ. არაბიძე რა იცით ქაღალდის საქმის შესახებ?

ალ. არაბიძე: ჩემს ტფილისში არ ყოფნის დროს ჩემმა ნათესავ-მეგობრებმა წინადადება მისცეს გაზ. „სოც.-ფედ.“, რომ გაზეთის ქაღალდი აეღოთ, მათაც აიღეს, სათანადო ბარათი მისცეს, რის მიხედვით შემდეგ საქ. რევკომს წარუდგინე ქაღალდის ანგარიში და მივიღე თორმეტი მილიონი მანეთი.

პ. საყვარელიძე—მ ბარებულად მიგაჩნდა ქაღალდი თუ რეკვიზიციის წესით წაღებული?

ალ. არაბიძე—ბარათი გვაქვს ჩაბარებისა, თუმცა მე ვიცოდი ტფ. ჩამოსვლისას, რომ ქაღალდი გაზეთზე იხარჯებოდა.

თ. ღლონტი—აქ პავლე საყვარელიძე ამტკიცებს, რომ ღლონტმა რეკვიზიციით ჩამოართვა არაბიძეს ქაღალდიო. გთხოვთ ახსნათ—მნახა ვინმემ თქვენიანმა ქაღალდის თაობაზე?

ალ. არაბიძე—თქვენ არავის უნახიხართ. ჩემი ქაღალდის შესახებ ლაპარაკი ყოფილა შ. ნუცუბიძესთან, ნ. ნეიმანთან და ქ. ქავთარაძესთან (სტამბის გამგე).

თ. ღ. თუ იცი ვიყავი თუ არა დარწმუნებული, რომ თქვენს ქაღალდში რევკომი ფულს გაიღებდა?

ალ. არ.—სავსებით არ იყავით დარწმუნებული.

თ. ღ.—ვამხელებდი თუ არა თქვენი ანგარიშის დამტკიცებას და გედავებოდი თუ არა ქაღალდის ფასზე?

ალ. არ.—ძალიან აძნელებდით.

თავმჯდ.—მოწმე ნ. ნეიმანო, რა იცით საქმის შესახებ?

ნ ნეიმანი—მე ბევრი არა ვიცირა.

თავმჯდ—რა იცით ქაღალდის შესახებ?

ნეიმანი.—ბოლშევიკების შემოსვლისას „სახალხო საქმე“-დან ჩვენ შეგვრჩა სულ ათიოდე დღის ქაღალდი. სწორედ კრიზისი გვქონდა ქაღალდისა, როცა არაბიძის ქაღალდი მივიღეთ რეკვიზიციით.

თავმჯდ.—რა პირობებში აიღეთ ქაღალდი?

ნეიმანი—ერთ დღეს არაბიძიანთ შემოგვითვალეს, რომ ქაღალდი გვაქვს და აიღეთო. ჩვენც შ. ნუცუბიძის საშუალებით ვიშოვეთ ნებართვა ქაღალდის გადმოტანისა და ჩავიბარეთ.

თამჯდ.—თუ გახსოვთ რა ბარათით ჩაიბარეთ?

ნეიმანი—მახსოვს, ავიღეთ პირდაპირ გაზეთისათვის.

პ. ქავთარაძე—ქაღალდი უნდა დაგებრუნებინათ თუ როგორი იყო პირობა?

ნეიმანი—ქაღალდის დაბრუნებაზე არ იყო ლაპარაკი.

ივ. ჯაფარიძე—ვინ გადაიხადა ქაღალდის ფული?

ნეიმანი—გადაიხადა რევკომმა.

თავმჯდ.—რა მოლაპარაკება სწარმოებდა ბოლქვაძესთან?

ნეიმანი—მოლაპარაკების ამბავი არ ვიცი. ვიცი ის, რომ გრუკავროსტას უგზავნიდით გაზეთებს და შემდეგ საამისო ანგარიშის შედგენა დაავალა თედომ და გრუკავროსტას კიდეც გადუგზავნეთ დ. წერეთლის ხელით. პირველ ანგარიშში გრუკავროსტას გაეგზავნა 1.600.000 მანეთის შემდეგ რევკომს 3 070.090 მანეთის. როგორც ვიცი ამაში გრუკავროსტამ გადაიხადა მხოლოდ ნახ. მილიონი.

ივ. ჯაფარიძე—ვინ მიიღო გრუკავროსტიდან და რევკომიდან ფული?

ნეიმანი—ჩემს სალაროში არ შემოსულა, მგონია, რომ ის თედოს გადასცეს.

თავმჯდ.—აკმაყოფილებდა თუ არა რედაქცია ხარჯებს საკუთარის საშუალებებით?

ნეიმანი—პირველ ხანებში აკმაყოფილებდა, შემდეგ გადავუპირდა, თედოს 200 ათასი მანეთი გამოვართვი.

პ. ქავთარაძე—თუ მეტი ზარალი არ მიდიოდა რედაქციას, რაღათ ითხოვდით მეტ თანხებს?

ნეიმანი—ეს მე არ მეხება.

პ. საყვარელიძე—როგორ ითხოვდით გრუკავროსტა-რევკომიდან ფულებს, ვისი დაწერილია ფულის მისაღები ბარათები?

ნეიმანი—ჯერ მოვითხოვეთ გრუკავროსტიდან გაზეთის ფული, გრუკავროსტა არ იძლეოდა ფულებს, გაზეთის გზავნაც შევუწყვიტეთ, შემდეგ ანგარიში შევადგინეთ რევკომისათვის, სადაც აღნუსხულია ხელფასი ასოთ-ამწყობთა, მუშების, ექსპედიციის და კანტორის. ამათი ფულის ანაზღაურებას ვითხოვდით.

პ. საყვარელიძე—ვინ აწერს ანგარიშზე ხელს?

ნეიმანი—ვაწერ მე და თედო, როგორც რედაქტორი.

თ. ღლონტი.—მოწმე ნეიმანო, რა ადგილი გეჭირავთ „სოც.-ფედერ.“ რედაქციაში?

ნ. ნეიმანი—როგორც „სახალხო საქმე“ დან, ისე ეხლაც ვარ კანტორის გამგე.

თ. ღლონტი—მე რა ადგილი მეჭირა და მიჭირავს ეხლაც?

ნ. ნეიმანი—ძველადაც და ეხლაც ხართ რედაქციის სამეურნეო ნაწილის გამგე.

თ. ღლონტი—თქვენ აქ სთქვით, რომ ქაღალდი რეკვიზიციის წესით აიღეთო, გთხოვთ მიპასუხოთ—არაბიძის ქაღალდის დროს მიღების მე სად ვიყავი?

ნ. ნეიმანი—თქვენ დელეგაციაში ირიცხებოდით და ტფილისიდან, წასული.

თ. ღლონტი—როგორ გესმით რეკვიზიცია?

ნეიმანი—ჩვენთან მოვიდნენ თვითონ არაბიძის ხალხი და ქაღალდი მოგვთავაზეს, ჩვენც ავიღეთ.

თ. ღლონტი—ამას ხომ რეკვიზია არ ჰქვიან?

ნეიმანი—კარგად არ ვიცი პირდაპირი სახელი.

თ. ღლონტი—თქვენ ამბობთ, რომ პირველ ხანებში გაზეთი აწერხებდა თავის შენახვასო, მიპასუხეთ, შეგეძლო არსებობა ქაღალდი რომ გვეყიდა?

ნეიმანი—არ შეგვეძლო.

თ. ღლონტი—თქვენ სთქვით, რომ ხარჯებს თითქმის ფარავდით, ვინ სწერს ყველაზე მეტს თუ იცით?

ნ. ნეიმანი—თქვენ.

თ. ღლონტი.—მომეცით თუ არა ჰონორარი?

ნეიმანი—არ მომიცია.

თ. ღლონტი—დაახლოვებით რამდენი უნდა მერგებოდეს?

ნეიმანი—ასე, 200 ათასი, უკაცრაოდ. გაცილებით მეტი, ოთხჯერ ამ ციფრზე მეტი, ხუთჯერაც, თქვენ ბევრი გერგებათ.

თ. ღლონტი—სწეროდა თუ არა შ. ნუცუბიძე ბლომად და რა მიეცით?

ნეიმანი—ბევრს სწერდა ქართულ-რუსულში, ჰონორარი არც მისთვის მიმიცია.

თ. ღლონტი—ყველა თანამშრომელი გყავს დაკმაყოფილებული?

ნეიმანი—არა.

თ. ღლონტი—საზოგადოდ, გაჭირვებულ ყოფაშია თუ არა „სოც.-ფედ“—თანამშრომელნი?

ნეიმანი—მეტად დიდ გაჭირვებას განიცდიან, პირდაპირ შიმშილობენ.

თავმჯდ. გაქვთ თუ არა რედაქციის ბიუჯეტი?

ნეიმანი—არა, ეხლა არავითარი ბიუჯეტი არ შეიძლება იყოს, ყოველდღე ყველაფერი იცვლება.

თ. ღლონტი. თუ იცით, ბოლქვაძესთან ვის ჰქონდა მოლაპარაკება?

ნეიმანი—როგორც ვიცი შ. ნუცუბიძეს, თედო ტფილისში არ იყო მაშინ.

თ. ღლონტი ჩვენ გვქონდა თუ არა სახეში გვეარსებია იმ ფულით, რომელიც უნდა მიეცა გრუკავროსტას წაღებულ გაზეთის საფასურის სახით?

ნეიმანი გვქონდა.

თ. ღლონტი გრუკავროსტას რომ გაენაღდებინა ის ანგარიში, მაშინ იყო თუ არა ლაპარაკი რომ მუშებისა და კანტორისათვის ცალკე — სეპარატიული ანგარიში წარგვედგინა?

ნეიმანი. რა შინაარსის ლაპარაკი გქონდათ მე არ ვიცი მე მივიღე მხოლოდ განკარგულება, რომ შემედგინე ანგარიში და გაეგზავნე გრუკავროსტასო, და აგრეთვე შემედგინე მეორე ანგარიში და გაეგზავნე რევკომსო.

თ. ღლონტი. როგორ სხვა და სხვა შინაარსის ანგარიში უნდა შეგედგინა გრუკავროსტასთვის და რევკომისათვის თუ როგორ?

ნეიმანი. არა მე უნდა შემედგინა ერთი შინაარსის ანგარიში თუ ამ ანგარიშს არ გაანაღდებდა გრუკავროსტა, იგი უნდა წაგვეღო რევკომში.

თ. ღლონტი. მე მაშინ როცა ეს ფული მივიღე რევკომიდან არ გქონდა დავთარი. შემდეგ ვიყიდე და იქ მიწერია 15 მაისს, ყოველ შემთხვევაში ასე დიდი რიცხვით არ შევცდებოდი ასე რომ მე მგონია, რომ აპრილის ბოლოში არ უნდა მქონდეს მიღებული ფული.

თ. ღლონტი. ჩვენ როდის მოვშორდით გრუკავროსტას თუ იცით?

ნეიმანი. 20 მაისს.

თ. ღლონტი. რისთვის ჩავიდინეთ ეს თუ იცით?

ნეიმანი. ეს ჩავიდინეთ ალბად იმიტომ, რომ გრუკავროსტამ ფული არ გამოგზავნა, 20 მაისა მივიღე მე განკარგულება, რომ მომესპო გაზეთების გზავნა გრუკავროსტასათვის.

თ. ღლონტი. იცის თუ არა კანტორის გამგემ, რომ გრუკავროსტაში აღარ იგზავნებოდა შემდეგ არავითარი ანგარიში.

ნეიმანიხა. ვიცი. მას შემდეგ ერთი ანგარიში გავგზავნე და ისიც რევკომში.

თ. ღლონტი. ამის შემდეგ საამეურნეო წესი მართველობისა შეიცვალა თუ არა. როგორ ფიქრობთ თქვენ?

ნეიმანიხა. ასე იყო როცა ანგარიში წარვადგინე რევკომში, იქ იყო აღნიშნული სტამბის მუშებზე გაწეული ხარჯები და კანტორის მოსამსახურების ჯამაგირები.

თ. ღლონტი. თქვენ ასეთ პოლიტიკაში დაინახეთ წესის ცვლილება?

ნეიმანიხა. არის ცვლილება.

თ. ღლონტი. ან გრუკავროსტას ან სადმე ჩვენ წარუდგინეთ ეს მუქთად დარიგებულ გაზეთების ფასი?

ნეიმანიხა. 20 მაისს შემდეგ არა.

თ. ღლონტი. თქვენთვის ვისმეს, მე ან სხვას, ხომ არ უთქვამს რომ ყალბი ანგარიში შეადგინეთქო?

ნეიმანიხა. მე მაგას არ ვიზამდი რომ ეთქვა.

თ. ღლონტი. თქვენ პირადად თანაუგრძნობთ თუ არა იმ ჯგუფს, რომელსაც მე ვეკუთვნი?

ნეიმანიხა. მე შემიძლია მაგ კითხვაზე არ გიპასუხოთ.

თ. ღლონტი. ამ უკანასკნელ არჩევნების დროს ჩვენ ჯგუფს აძლევდით ხმას თუ მეორეს?

ნეიმანიხა. არ მომიცია თქვენთვის ხმა

თ. ღლონტი. მე რომ მეთქვა თქვენთვის ყალბი ანგარიში შეადგინეთო, შეადგენდით.

ნეიმანიხა. არაფერს გულისათვის.

თ. ღლონტი. როგორ ფიქრობთ: საბოლოოდ ჩამოყალიბებულია, თუ არა ჩვენი რედაქციის საკითხი?

ნეიმანიხა. არ არის.

თ. ღლონტი: ეს იმათი მხრით, მაგრამ ჩვენი მხრით ხომ არვის?

ნეიმანიხა. ჩვენი მხრით ეს საკითხი რასაკვირველია სრულიად გარკვეულია.

თ. ღლონტი. ახლა გვერგება კიდევ რამე თუ არა?

ნეიმანიხა. იმ ანგარიშის მიხედვით, რომელიც მე წარუდგინე რევკომის ბუჰგალტერიას კიდევ გვერგება პირველ ივნისის აქეთ ფული.

თავმჯდომარე. იმ ანგარიშში, რომელიც გრუკავროსტას გაეგზავნა, იქ სწერია, თუ რა დრომდე არის შედგენილი იგი?

ნეიმანიხა. სწერია 20 მაისამდე.

თავმჯდ. იმ ანგარიშში, რომელიც რევკომს წარუდგინა?

ნეიმანიხა. იქ სწერია 28 თებერვლიდან 1 ივნისამდე.

ლ. ღლონტი. რევკომში მისვლა და ფულის მიღება ხშირი იყო თუ არა?

ნეიმანიხა. მე მომიხდა ერთხელ წავსულიყავი რევკომში 24 ივნისს. წარვადგინე გრუკავროსტაში წარგზნილ ანგარიშის ასლი და ვთხოვე გაენაღდებინათ ეს ვალი მაგრამ იგი ჯერაც არ მიგვიღია.

თ. ღლონტი. ჩვენ რომ გრუკავროსტასთან შევწყვიტეთ გაზეთის გზავნა, ამავე დროს შევწყვიტეთ თუ არა მისი გზავნა უფასოდ სხვა დაწესებულებებშიაც?

ნეიმანიხა. არ შევვიწყვეტია.

თ. ღლონტი. მას შემდეგ გაიზარდა თუ არა უფასო გაზეთების გზავნა?

ნეიმანიხა. გაიზარდა, ეხლა უფასოდ ვარიგებთ 600-ზე მეტს ცალს.

თ. ღლონტი. ახლა უფასოდ უფრო მეტს ვარიგებთ, თუ ფასით მეტს ვყიდით?

ნეიმანიხა. ახლა უფასოდ მეტს ვარიგებთ ვიდრე წინეთ.

თ. ღლონტი. თქვენ რომ რევკომში მიბრძანდით ანგარიშით, ვინ ნახეთ გელოვანი თუ ბუჰღალტერი?

ნეიმანიხა. მე პირველად წივწივაძე ვნახე, მაგრამ იმან გამგზავნა ბუჰღალტერთან უკანასკნელმა გადაშალა დავთარი და ნახა, რომ „სოც. ფედ.“ ერგებოდა 3 მილ. მანეთი.

თავმჯდ. თქვენ ნახეთ ეს ფურცლები?

ნეიმანიხა. არ მინახავს.

თავმჯდ. ასე რომ ცალკე ქაღალდზე იყო დაწერილი ეს ანგარიში?

ნეიმ ნიხა. დიახ, მე ვეძებდი ჩემ მიერ წარდგენილ ანგარიშს. მაგრამ მან მითხრა რომ ასეთი არ მაქვს. მე მაქვს ნაბრძანები რომ „სოც.-ფედ.“ გაეხსნას ფულიო.

თავმჯდ. მე მაინტერესებს ვიცოდე: ცალკე ფურცელზე აქვთ ჩაწერილი ეს ანგარიში, თუ სხვა და სხვა წიგნში?

ნეიმანიხა ცალკე ფურცელზე აქვს. მას სრულიად არ უძებნია ანგარიში. გადაშალა წიგნი და უცებ ნახა იგი.

თ. ღლონტი. ცალკე ფურცელი როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ?

გახსნილი აქვს специальный счет. არა?

— ნეიმანიხა დიახ.

თ. ღლონტი თქვენ რევკომში რომ მიბრძანდით თან გქონდათ თუ არა ასლი იმ ანგარიშისა, რომელიც გრუკავროსტაში იყო წარდგენილი?

ნეიმანიხა. თან მქონდა.

თ. ღლონტი. „ლამპარის“ ქაღალდის ანგარიში უფრო ადრე იყო წარდგენილი თუ არაბიძის?

ნეიმანისა. არაბიძის ქაღალდის ანგარიშის შემდეგ იყო წარდგენილი.

თ. ღლონტი. როცა ლამპარის ქაღალდის ანგარიში წარვადგინეთ, ვიცოდით თუ არა, რომ არაბიძის ფული გადახდილი იქნებოდა?

ნეიმანიხა. არ ვიცოდით.

თ. ღლონტი. მე ვიყავი დარწმუნებული რომ უკანასკნელი ანგარიშით მივიღებდით ფულს?

ნეიმანიხა. მაგას მე ვერ გეტყვი.

თ. ღლონტი. იცით თუ არა თქვენ, რომ როდესაც „ლამპარის“ ქაღალდის ანგარიში მივიღეთ კანტორაში, მე განვუცხადე მას: იმ შემთხვევაში თუ რევკომი გადიხდის იმ ვალს, რომელიც გვერგება, ავიღებთ ქაღალდს, წინააღმდეგ შემთხვევაში არა თქო?

ნეიმანიხა. დიახ, ასე იყო.

პ. საყვარელიძე: როდესაც იცოდა ნეიმანმა, რომ გრუკავროსტა ფულს იძლევა, ამ ჯგუფს, როგორ ჰგონია მას, შეეძლო ესევე სცოდნოდა მთავარ კომიტეტს თუ არ შეეძლო.

ნეიმანიხი: არ ვიცი.

თ. ღლონტი: საზოგადოთ ყოფილა რაიმე საქმე რომ ჩუმად გაგვეკეთებიოს

ნეიმანიხა: არა.

თ. ღლონტი: საქმის ასეთი დაყენებით, როგორც ჩვენ ეს გვქონდა, შეეძლო თუ არა მთავარ კომიტეტს გაეგო ყველაფერი.

ნეიმანიხა: რატომ არ შეეძლო.

საყვარელიძე: თქვენს ახალ რედაქციაში მსახურებს თუ არა, რომელიმე წევრი, რომელიც დაახლოვებული იყოს მთავარ ორგანოსთან. ეს ამბავი ქვეყნდებოდა სადმე თუ არა, იმ წერილის გამოქვეყნებამდე, რომელიც ჩემ წინააღმდეგ დაიბეჭდა.

ნეიმანიხა: რედაქციაში შემოდიოდნენ მთავარი კომიტეტის წევრები ხშირად რას [illegible] ვიცი.

(შემდეგი იქნება).

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენი გაზეთის ა. წ. 7—8 ივლისის №№ 104—105-ში მოთავსებულია მამედ-ბეგ აბაშიძის წერილი, რომელიც სხვათა შორის ეყრდნობა „სამუსლიმანო საქართველოში“ მოთავსებულ წერილს „ეკლესია და სახელმწიფო“ რომლის ავტორადაც მე მთვლის. საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო, რომ აქ რაიმე გაუგებრობაა და სინამდვილეს არ შეეფერება. მამედ-ბეგი ირიცხებოდა „სამუსლიმანო საქართველოს“ ნომინალურ რედაქტორად, ფაქტიურად კი სხვები რედაქტორობდნენ და მე მგონია რომ რომელიმე მათგანმა შეიყვანა იგი შეცდომაში ზემო აღნიშნულ წერილის ავტორზე მითითებით.

ხ. ე. ლორთქიფანიძე.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი ფრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაეკარგა** პასპორტი მოცემული ქალაქ ტფილისში მილიციის უფროსისაგან ივლისის 7 სამი თვის ვადით ერმალო გოგიას ძე სანიკიძეს რაიც ჩაითვლება გაუქმებულად. 1015

**დაეკარგა** პასპორტი მოცემული თელავის კომისარიატიდან, ფქვილის მოწმობა მიღებული ივლიტა მიხეილის ასულის სვიმონიშვილის სახელობაზე. რაიც ითვლება გაუქმებულად. 1013

**დაეკარგა** დროებითი პასპორტი მიღებული ქალ. ტფილისის მილიციის სამართველოდან, ჩაითვალოს გაუქმებულად ვლადიმერ ფირანის ძე ლებანიძე. 1014

ქ. ლანჩხუთში.

ექიმი
**ოლღა ხოფერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

კბილის ექიმმა
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხაფიანი (914 ტ 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული სენები და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ბეითალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს, ცხენის ქოთაოს (საპს) ვიქვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვკურნავ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვუძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ველინსკის ქუჩა № [illegible], ბინა 2. 38

ქუთ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი იგ. მარკ. მ ა ჩ ა ი ძ ე
აღგენს მოსამზად.
**ჯგუფებს**
ოთხი და ექვსი კლასის მოწმობის მისაღებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2,3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და აფთიაქის მოწაფის წოდებაზე.
აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებში—განმეორებითი გამოცდებზე მისამზადებლად.
მეცადინეობა: დილით—5—7 საათამდე. საღამოთი 2—4 და 5—7 საათ.
მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.
ნახვა და ჩაწერა—6—7 ნახ. დილით 3—7 საღამოთი. 1081



ეროვნული ბიბლიოთეკა